




**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

ესებუა დავით ესტატეს ძე



ესებუა დავით ესტატეს ძე (4. II. 1908, ფოთი,- 7. IV. 1973, თბილისი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1948). 1938 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრთან არსებული დრამ. სტუდია. 1940-მდე იყო ამავე თეატრის მსახიობი, 1940-იდან - მუს. კომედიის თეატრის (ახლანდ. თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. და დრამის თეატრი) ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. გამოირჩეოდა გარდასახვის

განსაკუთრებული ნიჭით, ვოკალური მონაცემებით, სცენური მომხიბვლელობით, შესანიშნავად გრძნობდა რეპერტუარის უანრულ თავისებურებებს. შექმნა მრავალი დასამახსოვრებელი სცენური სახე, მ. შ.: ედვინი (რ. ფრიმლისა და ჰ. სტოტკარტის „როზმარი“), ლორანი (ა. ოდრანის „ნატვრისთვალი“), ბარტოლუსი (ჰ. ფლერის „ესპანელი მღვდელი“), რაჯამი (ი. კალმანის „ბაიადერა“), გრიგოლი (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), ლევანი (ვ. ცაგარეებვილის „სამთა სიყვარული“), ასქერი (უ. პაჭიბეკოვის „არშინ მალ-ალან“), ნუგზარი (ა. კერესელიძის „თბილისის ცის ქვეშ“) და სხვ. გამოდიოდა ესტრადაზეც. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც მუს. კომედიის თეატრის, ისე ქართ. ესტრადის განვითარებაში.
